



კვირა, 2 აგვისტო | მიიღება ხელმოწერა 1915 წ., თებრი და სსოვრება - ზე | № 31 - 1915



ვაჟა-ფშაველას ხსოვნას

ნიავე, სსტიკ ბრძოლის დროს,
 თუ დაუქროლებ თხრილებსა:
 ვაჟას სიკვდილიც უამბე
 ომში გაგზავნილ შვილებსა.

დაე, იმათაც იგლოვონ
 ცხარე ცრემლების ფრქვევითა,
 დაკარგვა სულის ჩამდგმელის:
 უკვდავი სიმღერებითა...

ქნარი



+ ვაჟა-ფშაველა
 (ლუკა შაველას ძე რაზიკაშვილი)
 (1861—1915)

თეატრი და ცხიკურების

რ ე ღ ა მ ც ი ა

ღრმა მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებს, რომ შაბათს, 27 ივლისს, საღამოს 7 საათზე წმ. ნინოს ღვაწლართში მძიმე ავღმყოფობით

გარდაიცვალა სამშობლო პოეზიის
თავალი

პაქა - ფუხველა

(ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი)

დაკრძალულ იქნება ქართველი ერის მიერ დღეს, 2 აგვისტოს, დიდუბის ტაძართან ქართველთა პანთეონში. მიცვლელბული ქაშვეთის ეკლესიაში.

ხარტუხის საზოგადო კლუბი

მისეილის
მრ. № 131

საუცხოო საზაფხულო რატონდია, სტენით და მშენიერი, ელექტრონით განათებული, ბაღით.

პარასკევს,
31 ივლისს

შაბათს,
1 აგვისტოს
კვირას,
2 აგვის.

ორშაბათს:
3 აგვის.

სამშაბათს
4 აგვის.

ოთხშაბათს
5 აგვის.

ხუთშაბათს
6 აგვის.

პარასკევს
7 აგვის.

შაბათს
8 აგვის.

კვირას
9 აგვის.

სინემატოგრაფი და საზნდარი

კონცერტი ბროჯის მონაწილეობით
მანდოლინისტების გუნდი

სინემატოგრაფი; საზნდარი

კონცერტი ი. სარაჯიშვილის მონაწილეობ.

ქართული წარმოდგენა, ორკესტრი

საბავშვო საღამოს სინემატოგრაფი ორკესტრი

სინემატოგრაფი საზნდარი

ორკესტრი

მანდოლინისტების გუნდი

დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე.

შესავალი ფახი: მამაკანი იხდიან, — 30 კ.ჭაღები და სტუდენტები — 20 ლა.

წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი — 8¹/₂ ს., საბავშვო საღამო — 5-9 ს.



№ 31

წელიწადი
მ მ ს ა მ მ

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40კაპ ცალ
კე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სო-
რაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифლისь
Ред.-„Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოწერელი წერილები არ დაიბეჭდე-
ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის
კანტორაში—ღილით 9—2 ს., საღამოთი
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 31

ქ ვ ი რ ა , 2 ა ზ ვ ი ს ტ ო

1915 წ.

† გ ა რ დ ა ი ს ვ ა ლ ა ღ დ ი დ ი მ გ ო ს ა ნ ი ვ ა ჯ ა - უ შ ა ვ ე ლ ა

2 ა ზ ვ ი ს ტ ო

უკანასკნელი
პირველთაგანი

ბუნებისა და კაცთა
მოცუქული დადუმდა...
დადუმდა ენა-ვარ-

დოსანი, გრძობა-მალაღი, ფიქრ-უძირო,
ღიდი მხატვარი; უტყვე-მეტყველთა მესაიდუმ-
ლე...

ქეშმარიტი მგოსნობის ჩანგს უკანას-
კნელი სიმიც გაუწყდა...

ქართველ პარნასელთა ჩანგი უპატრო-
ნოდ გდია ძირს...

ვინ, ვინ მოჰმართავს ისე ღირსე-
ულად?..

ვიღა იხმარებს მის იარაღს მისებრ
„ერთგულად, დაუმტყდასა?“

აღარ გვყავს უკანასკნელი პირველთა
განი პოეზიაში...

აღარ გვყავს ვაჟკაცი, რომელს ამკობ-
და „სამშობლოს ტრფიალი“, რომელიც

„მამულისათვის გულს იმრავლებდა კუნესას“
და ტკბილს საგალობელს აღავლენდა ზეცად:

„ღმერთო, სამშობლო მიტოვებდა,
ტანჯულ ქართველი უჩივას!..“

აღარა გვყავს ვაჟა, მთის ლაღი შვილი,
ლაღად მომღერალი, ერის ნადვლით დაკემ-
სილი, ხალხის წამების ემბაზში განბანილი,
სამშობლოს ბრწყინვალე მომავლის ნატვრაში
სულდალეული, ჩვენი დანავსული ბედის
მკითხავი...

აღარ გვყავს ის, ვისაც
„გულზე ესვენა მზე-მთვარე,
ღანაჯობდა ღმერთთან!
საკეთილდღეო ქვეყნისა
ელვას სულად და გულად!“

დღემდე თუ მთით მომღერალი, საქარ-
თველოს მალაღ მწერვალებს მიკრული არწი-
ვი, მალღით ჩამოგვმღეროდა და გრძობა
მიყუჩებულთ, აზრ-დაკარგულთ მჭექარე ხმით,
მდიღარ სურათოვან გამოთქმებით უკეთესი
ცხოვრების მოპოებისკენ მიგვიწოდებდა,
ჩაგვიჩივებდა: როგორ გვეზრუნა მამულისა
და ხალხის საკეთილდღეოდ, რა გზით გვევ-
ლო, რომ ბრწყინვალე ღღის გათენება მალე
გვღირსებოდა, დღეის შემდეგ მკვდარი ცოც-
ხლებს გვიმოდღვრებს—თვისი შემოქმედებით
გავვიწვევს მოცუქულობას კაცთა შორის და
ღმერთთან, რომ ღვთაებამდე აღგვამაღღოს...

იყავნ კურთხეულ სახელი მისი!.. მალ-
ღიერი სამშობლო და ყველა ის ერი, რომ-
ღისთვისაც კაცთა გააღამიანება, ჩაგრულთა
ზეწამოდგომა რაიმე ღირებულობას წარმოა-
ღგენს—ვაჟას გულს ჩაიხუტებს საუკუნო
სახსენებლად და გზის მაჩვენებელ ლამ-
პრად!..

მ მო ზ ე ლ ო ჩ ე ე ო !

ჯერ ცრემლი არ შეგ შრობია, ილიას
დანაკღისი ვერ მოგინელებია და აკაკის სა-
მარისთვის რიგიანად მიწა არც-კი მიგიყრია,
ბრძოღის ველზე ასი-ათასობით გმირულად
ღახოციღნი შეიღნი არ გამოგვიღლოვია, რომ
შენი ერთი საამაყო შეიღთაგანი ხელიღან
გამოგეცაღა!..

ვისლა შეაჩერებ თვალსა და გულს, ვი-
ლა გეყოლება მანუგეშებლად?..

მაგრამ წარბი არ შეიხარო: ბედი გცდის
და მტერი შორით შემოგყურებს სულით
დაცემა თუ არაო!..

სულით დაცემა-კი ხომ იგივე სიკვდი-
ლია!..

არა და არა! სულით დაცემა ჯაბანთ
წესია, — შენ არ შეგფერის! ..

არა, არ დაცემი სულითა ზრაც უნდა
ცა მრისხანებდეს, ხევ-ხუვი ირეგვებოდეს!..“

ტანჯვა, წამება, უამრი ზარალი ხომ
შენი ხვედრია — თანდაყოლილი ხვედრი,
შენი სამოსი ხომ საუკუნებრივი განუძარცველი
ძაძაა, ქირ ვარამს ხომ ოდითვე ხარ შეჩვეული
და მაშ ნუ იგლოვ, ნურც ქედს მოუხ-
რი ამ უეცარ უბედურებას, — გრწამდეს, რომ
ეგოდენი ეროვნული მსხვერპლი — სულიერი
და ხორციელი ტანჯვა-ვაება უქმად არ ჩა-
გივლის!..

შენი მზიურობის მომღერალთა შეუდ-
რეკელი სულის სწრაფვა არ გაცუდდება...
შენ-კი, ძვირფასო ვაჟა, ჩვენი მთლია-
ნობისა და ერთობის მქადაგებელო, ლაჩრად
ქმნილთა გმირული სულის შთამბერველო,
შენის ზენაარი შემოქმედებით უკვდავ ქმნილო,
მშვიდად განისვენე დიდებულ დიდუბის სავა-
ნესა შინა იმ ღრმა რწმენით, რომ შენგან
გავლებული კვალი არ წაიშლება: ამ კვალს
მრავლად გაჰყვებიან შენთა მისწრაფებათა
აღსასრულებლად...

მშვიდობით, წამებული სამშობლოს უებრო
ჭირისუფალო!..

იოსებ იმედაშვილი

წერილი მთიულეტს

(ვაჟა-ფშაველას კარდღაცვალების კამა)

იგლოვეთ, ლაღნო მარეღნო,
ძაძით შემოსეთ მთა-ველი,
აუწყეთ თუშ-ფშავე-ხევსურთა:
აღარ გყავთ ვაჟა-ფშაველი!..
აღარ გყავთ მისა არწივი,
თავსა რომ გედგათ ფარადა;
ბედმა უმუხთლა უღროოდ,

აქ განისვენებს ბარადა;
მოხედეთ, თემნო მთიელნო,
თქვენსა შეილს პირად მზიანსა,
თქვენთვის მარადის მკვენსარეს,
მქვერ-მეტყველ, ენა-წყლიანსა.
ტიალ სიკვდილმა დასძლია,
ველარა ხმარობს კალამსა,—
თქვენთვის ჩამქრალი სანთელი
მით ველარ გაძღვეთ სალაშსა!..

გ. შინატხელი

გუნების მესაიდუმელი



† ვაჟა-ფშაველა

(ლუკა ზაფლეს ძე რაზიკაშვილი)
(1861—1915)

„...გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა...
საკეთილ-დღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა...
ეხლა თავ-თავქვე მივიდვარ,
ხევში მიმელის ბნელია ..
...წამლობას ველარ გამოიწვეს
ეხლა ცრემლები მწველია!“

ვაჟა-ფშაველა

ლუკა რაზიკაშვილი, მწერლობაში ვა-
ჟა-ფშაველას სახელით ცნობილი, მწერალთა

ოჯახის შეიღია—მამა მოღვექსე ჰყავდა, უფროსი ძმა გიორგი მწიგნობარი, უმცროსი ძმანი ბაჩანა და თელა —სახელგანთქმული მგონებია ლუკა დაიბადა 1861 წ. ღარიბი დედ-მამის ოჯახში. მამა მისი პალე ჯერ სოფლის მედავითნე აყო, შემდეგ მღვდლობა



ვაჟა-ფშაველა, ავადმყოფობის დროს წმ. ნინოს დაზარეთა და მისი მომვლელნი მოწყალეების დანი.

მიიღო და თვის სოფელშივე გამწესდა. სწავლა დაიწყო სასულიერო სასწავლებელში, გაათავა გორის საოსტატო სემინარია და თავის სოფელში მასწავლებლად გამწესდა; რამდენიმე ხნის შემდეგ პეტროგრადს გაემგზავრა, უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა, ამავე დროს ჭგონებს ივითარებდა წიგნების კითხვით. სიღარიბის გამო სამშობლოში დაბრუნდა, მცირე ხანს ქ. შ. წ. კ. საზღვის თონეთის სკოლაში მასწავლებლობდა, დაცოლ შეიღიანდა, დაუბრუნდა სამშობლო სოფელს, სცხოვრობდა შინა მეურნეობით და ამავე დროს მწერლობდა, ხანდისხან თბილისს ჩამოხედავდა ხოლმე თვისი ახალი ნაწერებით. .
სამწიგნობრო მოღვაწეობა მოწაფეობიდანვე დაიწყო 16—17 წლისამ, მაგრამ ნიქიერი მწერლის სახელი დაიმსახურა 1884 წ. როცა დასწერა „შკალის ნუკრის ნაამბობა“, „მოსუცის მოთქმა“ და სხვა პოემა მოთხრობანი და მალე პირველ ხარისხოვან მწერლად იქმნა აღიარებული.

სწერდა წვრილ ლექსებს—სიმღერებს, პოემებს, საზოგადოებრივ საკითხთა შესახებ წერილებს, მთიელთა ზნე-ჩვეულებათა აღწერილობათ, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილია ვითარცა დიდი სახალხო მგოსანი—თითქმის ყველა მისი ნაწარმოები ხალხური (უფრო თუ შფშფხევისურთა) კილოთია დაწერილი, ხალხურ ამბებზე აგებული, ხალხურის სიბრძნით გაყვლითილი, უტყვე-მეტყველ ბუნების საიდუმლოებათა ძლიერი განმსახიერებელი . .

საგანი მისი ნაწერებისა მამულის საყვარულია, ბუნებისა და ადამიანთა იღუმალ ზრახვათა დასურათება; მათი ურთერთ სულიერ კავშირის გამოძედაგება.

ვაჟას ნაწერებს დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობა აქვს. აქ დრო და გარემოება ხელს არ გვიწყობს დავახასიათოთ ვაჟას შემოქმედება, მხოლოდ მსუვევლთ მიუთითებთ ილ. ფერაძის წერილზე („ბახტრიონი“—, თ. და ც. № 20—24).

მისი ნაწერები ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული. ცალკე გამოცემულია „თხზულებანი“ (ერთი ტომი, „საყმაწვილო მოთხრობანი“, „ამოდის, ნათდება“, „ცრემლები“ (ლექსთა კრებული), „ბახტრიონი“ და სხ. სხვილ პოემათაგან „ბახტრიონს“ გარდა მოსახსენებელია „გოთურ და აფშინა“, „გველის მქამელი“, „ეთერი“, „სისხლის ძიება“, „აღუდა ქეთელაური“, მრავ. წერილ-მოთხრობანი და სხ. დაწერილი აქვს ერთი პიესაც ხევსურთა ცხოვრებიდან („მოამბეშია“ დაბეჭდილი); დარჩა დაუმთავრებელი ნაწარმოებნიც. . .

სამი თვის წინად თბილისს ჩამოვიდა სამკურნალოდ; ამ შემთხვევით ისარგებლა ქართველმა საზოგადოებამ და მწერალს 35 წ. სამწერლო მოღვაწეობის პატივსაცემლად 23 მაისს დღესასწაული გაუმართა. ამის შემდეგ ლოგინად ჩავარდა: ჯერ თვისი ძმის სანდროს სახლში იწვა, მერე წმ. ნინოს ლაზარეთში საუკეთესო ოთახში მოათავსეს, საუკეთესო ქართველი ექიმი ჰკურნავდნენ,



ვაჟა-ფშაველა კუბოში

მხატვ, სიღამონ-ერისთავის მიერ დახატული მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა მაინც ხელიდან გამოგვაცალა... არა ერთგზის შემოგვხვეწნია მგოსანი--კაცო, გამიშვით მთაში, თავისუფალ ჰაერზე და ღმერთი, სჯული სიკვდილი ვერას დამაკლებსო!..

ვაი რომ ეს თხოვნა ვერ შევეუსრულეთ და სიცხეში გამოხარშული, ჯერ კიდევ შუახნის კაცი (54 წ.) 27 ივლისს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზე გარდაიცვალა. დარჩა ცოლი და შვილები: ლევანი, თამარი, გარიამი და ვახტანგი.—

მგოსნის პიროვნების დასახასიათებლად, წინადა თუ მისი ავადმყოფობის დროს გაგონილ-განცდილი ბევრი რამ გვაქვს სათქმელი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის დრო არ არის...

ვაჟა ჩვენ მგოსან-მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც ჩანგი თვისი მხოლოდ და მხოლოდ ერის გამოსაფხიზებლად, ხალხში მოქალაქეობრივ ჰანგთა გასაფრცვლებლად მოჰმართეს. ნ. ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახ. ორბელიანები, რაფაელი, ილია და აკაკი, აი პოეზიის ის ბუმბერაზნი, რომელთა მრწამსი და ნაღვლი მამულისა და ბეჩაფი ერის, ხალხის მწარე სიმღერა იყო. ვაჟაც ამათგანია, მაგრამ იგი კიდევ უფრო მაღლა სდგას, ვითარცა ბუნების მესაიდუმლე და ცხოვლად მხატვარი... ამ მხრით ვაჟა შეუღარებელია და ღრმა კვალიც გაავლო ჩვენს მწერლობაში...

ჩვენის ქვეყნის ხვედრ თ გულდათუთ ქული მოსთქვამს:

„უიწუღი მწვეს მუინაზი, სჯუთარის ღუთის ტბილი ხმა უურს მეწვეთება ღარს!..“ — და მთელი თვისი სიცოცხლე სამშობლოს უკეთესის მოლოდინში იყო, მაგრამ:

„...გელთ—არ მოხველ მთვარეო, ტრემლი წინ გვიდგა გუბეა;

შავი შოერტეა ნისლება
ჩვენს უბედურს ბედს ზღუდედა.
უსტირით, ტირილი არას გვშეგელს,
დავცურავთ ნაღვლის ზღვაშია;
შინა არ გვებინავება,
არც გვასვენებენ კარშია.
ხამწარდა ჩვენი სიცოცხლე
ყოველგან მთა და ბარშია.
მელავიც ტანუდა, გონებაც,
ჩვენთვის ორივე შეკვდარია.
უვაგ-უარნის საზუდრად იქცა
ჩვენი სახლი და კარია.
მოვემწვედით ორ წყალ შუაში,
აღარსად ჩვენში ნავია;
დაგვანწა თავზე დრუბელი.
როგორც ნახშირი, შავია;
არ ვიცით უამ-კარ არეულთ,
სით დაგვანწიოთ თავია“...

„სოფლის წყლულებით განსენილი“ თავისი „ველური, მაგრამ ლამაზი სტვირით“ ძველებურ გმირთა ვაჟკაცობის, ქველობისა და მამულისათვის თავდადების აღწერითა ცდილობდა თანამედროვეთა აღფრთოვანებას, მამულისა და ვინაობის დასაცავად თავგამოდებისათვის:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურგინ შეგვეცდებება!“

იგი ჰხედავდა, რომ „კეთილი ბოროტისაგან ძლეულა“.— ჩვენს მამაპაპეულს სახლს ჩამონგრევია ქერია, ცეცხლი ჩამქრალა კერაზე და ჩვენი სახლ-კარი ბოროტს სულს დაუქურია!..

საკუთარ კერაში-კი ცეცხლის გაღვივება თვითმოქმედებით შეგვიძლიან—სხვისა შეყურებით არაფერი იქნებაო!.. და ჩვენის ქვეყნის მომავალს ღრმა რწმენით შეჰყურებდა:

„ნისლეგებში გახვეულებია,
ოდნავად ბუუტავს ვარსკვლავი,
ველარ ვაშორებ თვალებსა!..“
როგორც კერძო ადამიანთა, აგრედვე

საზოგადოდ ერთა შორის დამყარებული უსამართლობაა მრავალი უბედურობის მიზეზი... კაცთა ბედნიერებისათვის საჭიროა მისი მოსპობა... მაგრამ ადამიანნი არა თუ ურთიერთს ებყრობიან უსამართლოდ, არამედ თვით ბუნებას, რომელთანაც კეთილი განწყობილება,

დანდობა თვით აღაშინათა ბედნიერებისთვისაა საჭირო...

ვისაც სურს ბუნების საიდუმლოებთა შეცნობა, წაიკითხოს ვაჟას შემოქმედებანი...

მას ჭიანჭვი ებრაჯებოდა, უენო საქანელი ხე და მტენაჲ, მათი უბედურებით „ტრემლეები მისდიოდა“, მათს ჭიანჭს თუ ღზინს განიდგოდა და ჩვენც გვაგძმობინებდა...

სძაგდა „უშინაარსო სიცოცხლე ოხერტილი“, უფვარდა „საგმიროთ ჭანგები, სიტყვა და აზრი ციური“ თქმასთან ერთად საქმეც და „მოძმედ გონების სიამდლე სწადადა, იმათ გძმობათა და ფიქრთ დიდობა!... ამ მიზანს სიკვდილამდის არ უმტუნა და პირნათლად აღასრულა „გმირმა გმირული ვადა!“ სამარის კარამდე „მშობელი ქვეყნის წამლად“ იყო და ამიტომაც სიცოცხლეშივე, დღეიდან-კი საუკუნოდ:

„დადგა ცა ქვეყნის შუა კედ-მოუდრეკელ სვეტად!“

ვაჟას ღირსეული დაფასება მომავლის საქმეა... მისი მწერლების სხვა მრავალ მხარის გაშუქება უცებ მოუხერხებელია: დადგება დრო და გაარკვევენ, — ჯერჯერობით კი ვისურვოთ, რომ ჩვენი მოზარდი ოაზმა და ხალხი უმეტესის ხალხისთ დასწაფებოდეს ამ ჩვენი მწერლების გოლიათის ნაწარმოებთ: ამითი ბევრს ისწავლის და გრძობა-გონებით განსპეტაკდება... იოსებ არიმათიელი

სამუოგლოს გმირი

(გაგრძელება. იხ „თ. და ც.“ № 28)

დადგა ხუთშაბათი.

მისის მშვენიერი დილა იყო. ამომავალს მზეს ოქროს ფერად შეეღება აქარა-გურიის მთების თოვლიანი წვეროები და მორცხვად ამოეჭყიტა სომლიის მთიდან. მდაბლობებში ჯერ კიდევ კარვად ვერ ეძლია დღის სინათლეს და ვერც გაღმანტა სიბნელე, რომელიც იმალებოდა ტყეების მწვანე ბურულში მთების ტყიან კალთებზე ქურდულად მიიპარებოდენ თეთრი ნისლის ნაგლეჯები. სუფთის სივრცეზე მხოლოდ ორ-სამს ალავას იყო ატუზული თეთრი ღრუბელი; როცა მზემ ამოაშუქა, ამ ღრუბელს თითქოს ცეცხლი მოეკიდა — ისე გააწითლა მზის სხივებმა. სუფთა და გრილი იყო ჰაერი. ჰკრთო-

და დილის ცივი ნამით პირდაბანილი ნახიცა და მოუთმენლად ელოდებოდა, რომ მზე ჩქარა ასულიყო ზევით და ჩაჰკროდა მას გულში. მდინარე სუფსა უცნაურ გველივით მიიკლავებოდა ამწვანებულ მინდორ-ველზე და მრისხანედ მხუოდა: თითქოს სწყენია გათენებაო... ცის სივრცეში შემალულიყო საიდლანაც გამოკრილი მთის არწივი და საზარის ხმით დაჰკიოდა სოფლებს.

კესარია, სანდრო და ბენია ამ დროს გზაზე მიდიოდნენ. სადგური თორმეტი ვერსით იყო დაშორებული სოფელზე.

კესარია მორთულიყო კიდევ: შეეღებ-გადაეშანთურებინა წარბები, დაებანა პირი ჩირქ-უმარულით, ჩაეცვა საგარეოდ შენახული თეთრი კაბა, თავზე მოეხვია აბრეშუმის ბლდადი, ივანესგან საგვირგვინოდ მოტანილი, ღორის ქონით გაეწმინდა გაეშავებია წულები... ამაზე უფრო სასიხარულო შემთხვევა სხვა რაღა უნდა ყოფილიყო: ცხრა თვის უნახავს ქმარს ელოდებოდა.

— კი იქნება ახლა ივანე მიჩვეული წითელ-ჯვარიან ქალებს, მარა მე ივენს მაინც ვაჯობებ; ეხუმრებოდა ის თავის თავს და ვაჟაცურად მკერდ გაშლილი მიიჩქაროდა.

სანდრო და ბენია უკან მიჰყვებოდნენ დედას და ერთი მეორეს უზიარებდნენ თავის აზრს მამის ნახვის შესახებ.

— ძან გაუხარდება ბაბასაც ჩვენი ნახვა, მარა ფეხ-შიშველები რომ ვართ, აი კი შეარცხვენს პაწას... იგი ხომ ჯვარიანი ახლა, — სთქვა სანდრომ.

— სკვინჩ-სკვინჩ! სკვინჩ სკვინჩ! — რაღაც დაჟინებით იძახდა ჩიტი სკვინჩა და ხიდან ხეზე ფრინდებოდა, თითქოს არ უნდა ჩამორჩეს მგზავრებსაო.

— რა უნდა ნეტაი ამ დაღუპულს სკვინჩას აა? სანდრო არტყი ერთი მაგას ქვაი, — უთხრა ძმას ბენიამ.

— ჩვენ მშვილობა, გამარჯვება — სკვინჩას თავი წავარდება, ჩვენ მშვილობა, გამარჯვება — სკვინჩას თავი წავარდება! — შეულოცა სანდრომ და შესტყორცნა ქვა.

როგორ შეეძლო სკვინჩას დაეძახა იმათ ეზოში, — წყევლა-ვაებოთ სდევნიდნენ ბავ-

შეგები; იკვირებდა თუ არა კოტი ზამთრის ღამეში, იმასაც ულოცავდნენ:

— ბუს კუჭი სტკივა, ბუს კუჭი სტკივა.

ღაი იმ ძროხას ან ხბოს, რომელიც შეაბღაველებდა რომელიმეს ოჯახში: კეტით სულ სისხლს ადენდნენ.

ერთი სიტყვით, სასტიკად ებრძოდნენ ყველა იმას, რაც, მათი აზრით, უბედურების წინამორბედი იყო, რომ უბედურებაც თავიდან აეშორებინათ.

ერთ დილას წყევლმა ქათამმა მთელი სახლი დააღონა: შეფერიდა ღობეზე, წაიგრ-

ძელა კისერი კესარიისაკენ და მამალივით დაიცივლა. ბევრი სცემეს იმას ბავშვებმა და ბოლოს კიდევ დაჰკლეს, მაგრამ საწყენი ამბავი მაინც ვერ აიცილეს: ადრე მოვიდა წერილი, რომელშიაც ივანეს დაქრის შესახებ ეწერა

— იმ მოქვის ყვიტილი ტყუილად არ ყოფილაო,—სთქვა სანდრომ.

..... — გამეიარეთ, ბაღებო, ჩქარა! — მოაძახა დედამ და სამივემ ნაბიჯს უმატეს.

გაბრიელ გოგუაძე

(შემდეგი იქნება)



ქართული კუბრინის „ორმოში“ („Яма“)

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30)

აი ეს ლიტერატურული მშენიარება კანკანურებულია დიდ „რამინად“, და „Нива“ საჩუქრად ურიტებს მრავალ-რიცხოვან ხელის მომწერლებს მთელს რუსეთში!

საროსკიბოებსე ბ. კუბრინისგან შეკრებილ მასაღას, რასაკვირვებია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ავტორს ძალა არ შეეძება, რომ ეს მასაღა მხატვრულ ჩარჩოებში ჩამოესხა და ტიპიურ საბუღავრო რამინად იქცა. საზოგადოდ რუსის მწერლებს — ნიჭიერებსაც — ვერ ეხერხებათ უცხოელების დახასიათება. განსაკუთრებით კავკასიელების; გარდა უმეტრებისა მათ, ხელს უშლის კიდევ „რადანა“ და თუ დღეს ბ. კუბრინზე ხმას ვიდებ, მხოლოდ იმისთვის, რომ მის უმეტრებს წინ უძღვის ეს „რადან“ და არც-თუ ისეთი გულ-უბრველია, როგორც უმეტრებს...

რად დასჭირდა ბ. კუბრინს ქართველი სტუდენტი რუსეთის საროსკიბოების ისტორიაში? ამ ისტორიას ხომ მრავალ საუკუნეთა ნაციონალური სიბნელე აქვს წამოფარებული და რა ადგილი აქვს მის ეგოლიუტიაში ქართველ სტუდენტს?! ან, იქნება, ქართველი დასჭირდა ფაბულის განსავითარებლად? საიდგანა სჩანს?! თავადი ნიჟარაძე მარტო იმისთვის არის „ორმოში“, რომ მას რუს-ამხინაგებმა (უფრო-კითხვით ბ. კუბრინმა) „ишакъ кавказскій“ უძახონ და ხიჯარაძემ-კი (აღბად სამადლობედოდ) მათ შეძავ ლიუბას ზურნაზე დაკვრას წაწვდონ! დირდა ამისთვის?!

მაგრამ, ვთქვათ, ეს ავტორის კუბრინია — ჭსურდა და გამოიყვანა! კარგი... მაგრამ ბ. კუბრინს მწერლის სახელი აქვს, საკმარისად დიდი სახელი, და მას მოეთხოვება მწერლის ელემენტარული სინდისიერება...

ქართველებში, როგორც რუსებშიაც. ბევრია გარეუნიდელ, უტვინოც, მაგრამ, როდესაც ბ. კუბრინს დიდ ნაწარმოებში გამოეხვეს ერთად-ერთი ქართველი, ასურათებს მას, როგორც ქართველს, მაშინ მოვალე ხდება გაიტნოს ქართველი — კარგი, ავი — და ისე შეუდგეს მის დახასიათებას. კიანტკველსაც არ სწერენ, ვიდრე მის ზნე-ჩვეულებას არ შეისწავლიან, მაგრამ რას დაგიდგეს გათამამებული ბ. კუბრინი! ქართველებზედ იცის მხოლოდ — „шап-лыкъ“ და „мраволь джаміемъ“ — არ ეუფა-თუ!.. დანარჩენი შეივსება გაკონილი უწმარში ანეგდოტებით და თვით ბ. მწერლის ადვილ-წასსნილი ფანტაზიით!..

უკანადაც, შევცდეთ: როგორც „განათლებულმა“ მწერალმა ბ. კუბრინმა კავკასიელებზე გარდა шаплыкъ და мраволь джаміемъ იცის შესამე სიტუაცია — ишакъ და ამ სიტუაცია განუწვევტილვ იმეორებს პირდაპირ ნათესაური ალერსით...

ბ. კუბრინის უფიქრობა სახარკოა!

რომ ნიჟარაძე აქლემის კუჭით დააჭიდდოვა — ეს ბ. კუბრინის ცრულუტ შემოქმედე-

ბას ეკითხოს, მაგრამ რომელ სიზმარში უნახავს, ვითომ ქართული სტუდენტები რუსეთში იკვებებიან საქართველოდან გაგზავნილი ცხვრის ხორციით და ბადრიჯნებით?! ეს ხომ ხელსტაკოვის წვეგისა ჭკავს, პარიზიდან რომ მოსდიოდა ცხელ-ცხელი! ფოსტაც ვაი-ვაგლახით იგზავნება ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში და კარგი დღე-კი დაადგებოდა საქართველოდან მოსკოვს—შეტებურვმ, ნიჟარაძისთან გაგზავნილ მწვადებს!.. ეს ბადრიჯანი რადაა?! ალბად აქლემის კუჭის მქონე ნიჟარაძე ისე... უმბადრიჯნებსა ჭელაზავდა..

მხიარული წერადი უფილა ბ. კუზნინი! ცნობილ „მრავალ ვამიერს“ ასე წენარად ამახინჯებს — „мраволь джаміемъ“ და ასეთი ხელუბი ვურების პატრონი კისრულაბს ქართული ლაპარაკის კეთილ-ხმავანების ნეტებზე გადალებს: цоканье, гортанные звуки, похожие на хорканье вальдшнепа...
 გარდა უმეცრებისა, ბ. კუზნინი არც სინდისიერი მწერადაა.

რას რუსულითაც ის ლაპარაკებს ქართველ სტუდენტს, ასეთი მე გამიგია მხლოდ ბაზრის ხალხისგან: „Замечательный женшнына .. Отъ тэбэ убѣжить, душа мой... це-це-це .. вай, вай.“ და სხვა... ეს ხომ ლიტერატურული უმარბაზობაა!

ბ. კუზნინს „ზოლიტიკაც“ აინტერესებს. დაცინვით ამბობს, რომ ნიჟარაძე ლაპარაკის დროს ერთსა და იმავე მონოლოგს იმეორებდა, რომ „Грузія самая о б и ж е н н а я страна!..“

რას ნიშნავს ეს წამოყრანტალებული „обиженная“? იმას, რომ ბ. კუზნინს ხელში ვახსოვს და დრინავს!..

„ზუბრის“ სუნიც ასდის პატრივტემულ მწერადს.

სადან-კი ქართველებს ასხენებს, არაფერს კრიდება, რომ მოთხაროს ჩვენი სახედი, და ეს ცნობილი რუსის მწერადი, ეს „ინტელიგენტი“, ეს „ნაღები“ რუსეთის „მოწინავე“ საზოგადოების „ვეფხის ტყაოსნის“-კი დაცინვით იხსენიებს!..

უსუნებია-კი ბ. კუზნინს „ვეფხის ტყაოსნისთვის“? ან-კი რაში ესაჭიროება: დღეს ის

განდევნილ დიერთების პარნასზეა და ისვრის წიხლებს!..

სულ რჩიოდე ფურცელზედ ამოდენა სისძაცლე!..

ავტორისგან შეთხზული „ქართველი სტუდენტი“ ასეთია: დატაკი სულით, ხორციით, შეძლებით; სულელი, მტკნარი უფიცი, ბიწიერი; უბადრუკი ჭკუით, გრძნობით,—ერთი სიტუვით, „нишакъ кавказскій!..“ რომ ქართველი სტუდენტის სურათი „დამთავრებული“ გამოვიდეს, ბ. კუზნინი თავის შემხარავ უფიცობასაც არს სჯერდება და განზრახ თვადების ახვევით, სიუალობით ავსებს თავის საბუღვარო რამანს.

ბ. კუზნინი იქამდის „უგუგნებოდ“ გახლავთ ქართველებზე, რომ კავკასიური გარეგნული სილამაზის დამტირების-ც-კი ცდილობს ჭო, ნიჟარაძეს შავა თვალებისთვის—немножко бараньихъ—დნებადნენ მხლოდ „хористки, кондитерскія и телефонныя барышши“... როგორც ჭხედავთ, ბ. კუზნინი ქართველისთვის იმეტებს მხლოდ „ხორისტკებს“; მათზე ზევით-კი ხელს ავირებს! ნუ გრცხვენიათ, ბ. კუზნინი: ბევრი ახალგაზრდობა გაკვირებულურდა რუსეთში იმისთვის, რომ მათ იტაცებენ და „таютъ“ არა მარტო „ხორისტკები“...

მაგრამ ბ. კუზნინისგან შეითხზილი „ქართველი სტუდენტი“ მცდრულად გადაჭქტვია თვით ავტორს და ისეთ უფადად უღაზათო, უზნო სასაცილო ებედობაში ითრეგს თავის „მშობლებს“, რომ შკითხველს ეტვი ებადება მწერლის „უქვიფობაზე“...

„ორმოს“ სტუდენტები (ნეტა სად გამძებნა ეს დარდაკები!); არამც-თუ ნიჟარაძე—რუსებიც და, მათ შორის, ავტორის სიმძატით დაჯილდოვებულნიც, ისე სულელურად იტყვიან, რომ თორმეტი წლის ბავშვების-ც-კი შერცხეობდათ!

მეძავ ქაღს ლიუბას, რომელმაც „чаво“-ს მეტი არა იცის-რას, აწავლიან წერაკითხვის გარდა, გრამატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას, სოციოლოგიას, მარქსის მოძღვრებას და—რას გინდა, სულა და გულა! ქართველი სტუდენტი-კი, რადგანაც „ничего не знаетъ“, იმავე ლიუბას უკითხავს ქართულად და უთარ-

გმნის „ვეფხისტყაოსანს“, ასწავლის ეგრედვე... ზურნაზე დაკვრას!..

ახა, ქართველ სტუდენტს შეტად „დაუზიანებია“ ბ. კუზნინი!..

წარმოვიდგინოთ, რომ სტუდენტმა ნიჟარაძემ „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, ზურნაზედაც უკრავდა და ბ. კუზნინის ხელში იქამდის გასულადა, რომ ამ ორ თაყის ცოდნას საჭიროდ სთვლიდა ლიუბას განსასხებტაკებლად, მაგრამ ეს რუსის სტუდენტები რაღამე გაავიწყათ, რომ სიანხმდებთან ნიჟარაძეს დასათუთ ლიუბას ასეთი მსახიფათო ექსპერიმენტის“ მსხვერპლად ჰხდინა?!

მაგრამ, ეტეობა, ბ. კუზნინის გადაწყვიდად რუსის სტუდენტებს შერჩათ თაყში ჰკუთნა, — არ შერჩათ იმ მიზეზით, რომ ბ. კუზნინი შეტად გაიტაცა ქართველის განსაცდილოების სურვილმა — იქამდის, რომ ბოლოს და ბოლოს ვეგლასე სსსცილო თვით ავტორი გამოვიდა...


ასეთი უოფილა ცის განკება!..

ბ. კუზნინის „ნათელი“ სული და გული ცხადია ჩვენთვის!..

რა განსხვავებაა ბ. კუზნინის და იმ „ზურნების“ შორის, რომელნიც გაიძინიან — „пропиху“? დღეს ბ. კუზნინი რუს. მწერლობის ერთ დედა-ბოძთაგანია; უმადღეს ინტელიგენტთა წიაღში განისვენებს, და თვით, ოფიციალურად მანინც, თავით ფეხებამდე მხატვარ-მწერალი „ვეფხისტყაოსანზედაც“ კი კბილებს აკრეჭს! თუ ასე ახლო — თავისვე სახელმწიფოში ვერ იშენია „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა, ის მანინც არ გაუგია ბ. კუზნინის, რომ დასავლეთი ევროპა, უფრო კულტურული ხალხი დიდის უურადღებით ექცევა ამ ნაწარმოებს: სთარტმის, ჰბეჭდავს საკორო. ლეგო მუხეუმების ხარჯით და ინახავს, რაგორც ძვირფას განძს?!

მართლა რომ დიდი გრძნობით უნდა წეროს აღმინმა „ორმოების“ სიმრუშეზე. რომ ასე გასალახსავდეს!..

ნ. ყოყიაშვილი



ზოდზრამ. იაკობ ერ პეტროაშვილი
მიკლულის დიდი ბრძოლის დროს მდ. სანზე
რაქის მახრის, სოფელ სხევის მცხოვრები.

ამონაკენესი

ვითა უღაბნოს შწირი ევლი,
ვზივარ, მღარაჯობს უტყვი ბუნება;
ხშირ ნაძვთა შტონი თავსა მიკრავენ,
გრილი ნიავი მესალბუნება.
კაცთ სიავისგან გააფთრებულსა
აღარ მასვენებს სიკოცხლის ვნება;
შორს, შორს მიმართუნს მწარ ოცნებისკენ
და კვლავ ნიავი მესალბუნება...
ჩამქრალა გულში ახრი კეთილი
და ნაცვლად მეფობს შური და სნება,
და მწარ გულის თქმას, მწარ მისწრაფებას
მხოლოდ ნიავი ესალბუნება...
ერთხელ მტარვალცი მებრალგობდა,
მაგრამ რას მარგებს ეს მოგონება? —
კრუ საწუთროის აწ უარყოფელს
მხოლოდ ნიავი მესალბუნება...
ვერ დავამყარე სულის ედემი,
ოცნებით მაშვაროს აწ სული მხდება,
და კაცთა შორის უთანაჯრძნობის
მხოლოდ ნიავი მესალბუნება!..
ბაკურციხე დარია ახვლედიანისა

ბელნიერი დღე

კომედია 3 მოქმედებად

(გაგრძელება. რ. „თ. და ც.“ № 30)

IV

ივანე და სერგო

სალომე სერგო! შემოიტანე სამოვარი.

სერგო რომელი სამოვარი, ქალბატონო?

სალ. (მწუნადად) რომელი და ნიშა-ნიკორა!

სერ. (დამიჯივით) აღარ გახლავთ, დე-ცალე... ბატონმა მიბრძანა და მეც დავცალე.

სალ. (გაჭყაფრებთ) ბატონმა რომ გიბრძანოს, სამოვარი დაამტერიეო, შენც დაამტერევე?

სერ. (დამიჯივით) დავამტერევე, ქალბატონო, ბრძანებას ხომ ასრულება უნდა.

სალ. (იციინის) აი! შე გასაციებდელი, შენა! გასწი! (სერგო მიდის) დაცა, დაცა! ბიჭო, შენ ცოლის შერთვა არ გინდა?

სერ. (დრეკით) ბარემაც მინდა, ქალბატონო, მაგრამ რა ვქნა!

სალ. (დამიჯივით) თუ გინდა—რატომ არ ირთავ?

სერ. (დრეკით) საიდან შევირთავ, ქალბატონო, სახლი მე არა მაქვს და კარი, ფული და საქონელი.

სალ. რომ იშოვნო ფულები?

სერ. არ შეგქამოს ჭირმა, მე ფულები ვერ ვიშოვნო: კამეჩმა წიხლი ისწავლა და მე ყაირათი ვერა!.. ამდენი ხანია გემსახურებით და ერთი უზალთუნი ვერ გადავარჩინე.

სალ. აი, შენს ბატონს ყველაფერი აქვს და მაინც არ უნდა ცოლის შერთვა.

სერ. (სიცილით) მე რომ ბატონი ვიყო—არც მე შევირთავდი ცოლს.

აპოლ. (სიცილით) აი ყოჩად, სერგო! ყოჩად! (საღმძვს) ხედავ სერგოც ჩემი აზრისაა.

სალ. რატომ არ შეირთავდი, ბიჭო?

სერ. იმიტომ, ქალბატონო, რომ ცოლი მარტო ჩემთვის და გლახაკებისთვის არის საქირო: ქათამს გაგვიზღის, ოჯახს მოუვლის. ბატონს რათ უნდა ცოლი? რაც ქალაქში ცოლებია მისი არ არის? (იდრაჭება)



პუბლიცისტი

ილია ხონელი (ბახტაძე)

გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო

სალ. (სიცილით) უი ქა რას ამბობს ეს სასიკვდილე. გასწი.

სერ. (სიცილით) მართალს მოგახსენებ ქალბატონო. (გადას)

აპოლ. (გუფანად იციინის) რა მასხარაა ეს ბიჭი. ის მასხარობდა, მაგრამ სიმართლე კი სთქვა. სოფლის „კაცი უფრო ადრე ირთავს ცოლს, ვიდრე ქალაქის, რადგან ქალაქში მეტი გარყვნილებაა.

სალ. (ტირაფის ხმით) შევილო აპოლონ, მართალია, შენ ჭკვიანი ხარ, ნასწავლი, გაზრდილი, მე მოხუცებული და უჭკუოც, მაგრამ ხომ გაგიგონია ერთი ბრიყვსაც უნდა დაუჯეროო. მამა-შენი მოკვდა, მე სიკვდილის პირად ვარ. დღეს არა ხვალ მოვკვდები, ჩვენი ოჯახი უნდა მოისპოს. ნუ მოსპობ, შევილო, ოჯახს, შეირთე ცოლი, მომასწარ შენ ბედნიერებას. (ეხუევა)

აპოლ. (გაუშვებინება და დადას) ჰო, კარგი, დედა-ჩემო, ნუ გაიქირე საქმე. აბა მითხარი ერთი ვინ შევირთო?! ქუჩის ქალს ხომ არ შევირთავ?

სალ. (დამიჯივით) ისეთი ვინმე რომ იყოს—მოგეწონოს, შეირთავ?

აპოლ. რატომაც არა, თუ კი მოსაწონი იქნება—ღიადაც რომ შევირთავ.

სალ. (იმუდა მიეცემა) ეგნატეს ხომ იცნობ, შევილო, პუწკიევს?

აპოლ. ეგნატე, პუწკიევი, აი ჩვენს ახლო რომ დგას? ფოსტის ჩინოვნიკად ნამყოფი?

სალ. ჰო, შეილო.

აპოლ. ძალიან კარგად ვიცნობ. აი ნამდვილი ქართველი ის არის.

სალ. (დომილით) მის ქალს სონას იცნობ შეილო?

აპოლ. დაახლოვებით არა და ისე კი ვიცნობ. მგონია იმან ახლა გაათავა ინსტიტუტი.

სალ. დიად, აი შეილო, თუ არ დაიწუნებ, კარგი ცოლი იქნება.

აპოლ. (დომილით) ვნახოთ, გავიცნობ და, თუ მოშეწონება ..

სალ. (სიხარულით) შეირთავ შეილო?

აპოლ. თუ მომეწონება რატომაც არა

სალ. (სიხარულით ექვსე მკეხეკვა) ჰო, შენ გენაცვალოს დედა, მოგეწონება, მოგეწონება შეილო. ისეთი ქალია, ისეთი, რომ მისთანა მთელ ქალაქში არ იქნება. (შემოდის ილარიონ)

V

სალომე, აპოლონ და ილარიონ

ილარიონ (თეთრი შანჯაგი და ჭრელი შაღჯარი ახვია. თავზე რკვალე ჭილაფის ქუდი სურაფს. ხელში ჯოხი უჭირაფს. მხიარული კაცია, შემოდის სიცილით. დაინახავს სალაშქეს და აზოლანს და გაოცებული გაჩერდება კარებთან) ერიპაა!. აი, საზოგადო მოღვაწე სწორედ ასეთი უნდა! უკვე ორი საათია და შენ ჯერ პინჯაკიც არ ჩაგიცვამს. (მივა და ჩამოართმევს ხელს ჯერ სალაშქს და მერე აზოლანს, ჩამოჭდება იქვე სკამზე)

აპოლ. ეჰ! დავილაღე, ჩემო ილარიონ, დავილაღე. დღეს გადავწყვიტე დასვენება, მაგრამ მასვენებს კი ვინმე? აი, დედა-ჩემის სურათი დავხატე დღეს. (უჩვენებს სურათს)

ილარ. (მივა და შეხედავს სურათს) ყოჩაღ! მშვენიერი სურათაა, ნამდვილი თქვენა ხართ, სალომე, კობტა, ლამაზი.

სალ. (იციხის) უიმე! აბა რას ამბობთ, ილარიონ? რა დროს ჩემი სილამაზეა?! (დადანებოთ) ერთ დროს შეიძლება ვიყავი ლამაზი, მაგრამ ეხლა მოვხუციდი, შეილო, ჩემი სილამაზე ვიღამ სთქვა?

ილარ. (დომილით) ჯერ კიდევ ბევრ ახალგაზრდა ქალს სჯობიხართ, სალომე.

(მობრუნდება და დაჯდება) სხვა, როგორ გიკითხოთ სალომე, ხომ კარგათ?

სალ (დადანებოთ) ეჰ, შეილო, ვარ ცოცხალი და შევსტყვრი ამ ჩემ შეილს, როდის მალირსებს ბედნიერ დღეს.

ილარ. (იციხის) ნუ გეშინია, სალომე, მალე, ძალიან მალე.

აპოლ. ახალს არაფერს იტყვი ილარიონ?

ილარ. შენ აქ იჯექ და ბევრ რამეს გაიგებ. რა დროს დასვენებაა, მეგობარო, როცა აუარებელი საქმეა გასაკეთებელი.

აპოლ. (დამნაშაგის კილათი) დავილაღე, ილარიონ. გუშინ დილიდან საღამომდე მუხლი არ ჩამიკეცია, კირილე მივაცილე სასაფლაოზე, ხომ იცი, საზოგადო მოღვაწის ისიც მწერლის დასაფლავება-და წეს-რიგის დაცვა რამდენ ენერგიას და შრომას თხოულობს. ისე დავილაღე, რომ როცა სიტყვას ვამბობდი, თავ-ბრუ კინალამ დამესხა. აგრე რომ არ ყოფილიყო, ისე სახლში რა გაჩაჩერებდა. ეს შენ კარგად იცი და ტყუილად მისაყვედურებ.

სალ. მართლა ძლიერ დაილაღა, აპოლონი, გუშინ. მიცვალეზულის გასვენება ძლიერ ძნელია, შეილო, მაგა'აც ცოდნა და გამოცდილება უნდა.

ილარ. (სერიოზულად) მართალია, აპოლონ, გუშინ ძლიერ დაილაღე, მაგრამ დღეს მაინც უნდა გამოსულიყავ და ერთ-ორ ალავს შეგველო. ხომ იცი, თუ დარაჯად არ დავუდექით საზოგადო საქმეს, ჯველაფერი ხელიდან გამოგვეცლება. აგრე ადვილად არ უნდა დაილაღო. დღესაც რომ გვეყოლოდა მიცვალეზულის, ასე იჯდებოდი სახლში?

აპოლ. აბა, რას ამბობ ილარიონ? ასეთ დროს მე დალაღვა არ ვიცი. ვიც-დი დღეს არავინ იყო დასამარხი და იმიტომ მოვაგვიანე გამოსვლა.

ილარ. (წუქნით) კიდევ იმიტომ მიდის ჩვენი საქმე ცუდათ, რომ ჩვენი ინტელიგენცია გვიან იღვიძებს და გვიან გამოდის სახლიდან. გუშინ მეც ვიყავ განსვენებულ კირილეს დასაფლავებაზე. შენს შემდეგ მეცა ვსთქვი კარგი მოზრდილი სიტყვა. დავილაღე მეც, მაგრამ დღეს დილის ექვსი საათიდან საქმეს ვა-

კეთებ. ვიყავი ერევნის მოედანზე, იქიდან ქალაქის გამგეობაში, იქიდან ბანკებში, შემდეგ კლუბებში, შემდეგ გაზეთების ყველა რედაქციებში, ზოგან წერილები დავსტოვე, ზოგან საზოგადო მოღვაწენი ვნახე, შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის წინ რამდენჯერმე ვაღიარ-გამოვიარე, ცოტა ხანს თეატრის შესავალ კარებთან ვიდექი და გამვლელ-გამომვლელეთ ვათვალიერებდი, შემდეგ ერთი ნაცნობი ქალი სახლამდე მივაცილე და იქიდან შენსკენ გამოვეშურე. აი რამდენი საქმე ვავაკეთე დღეს და შენ კი ჯერ პინჯაკიც არ ჩაგიცვამს. არ ვარგა ასე, ჩემო აპოლონ.

აპოლ. არც ის ვარგა, ჩემო ილარიონ, რომ სულ წელში გავწყდეთ. ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც დასვენება გვინდა. ეხლა სხვებმაც უნდა იმუშაონ, მართლა მარტო ჩვენ ორზე ხომ არ ტრიალებს მთელი ქვეყანა.

3. ირეთელი

(გაგრძელება იქნება)

კომპ. ანდრია ნიკოლოზის კეპარაშვილი

(დასასრული. იხ. „თ.“ და ც.“ 29)

ჩვენ ხელთა გვაქვს კომპოზიტორის ორი რომანსი „ისივე შენ“ და „დაფრდომილი სნეული“. ორთავე რომანსი ძალიან მოკლე არის, თითოეული მათგანი შესდგება მარტო რვა-რვა ტაქტისგან. თვით მელოდიებზე ის უნდა ვსთქვათ, რაც ამ წერილის თავში ვსთქვით საზოგადოდ ა. ყარაშვილის მუსიკაზე. ორივე რომანსი ძალიან დიდის გრძნობით არის დაწერილი; მელოდიებიც სასიამოვნო სთქმელია, მხოლოდ თავისი სიმოკლით ძალიან ბევრსა ჭკარბავენ.

საზოგადოდ კომპოზიტორს თავისი შემოქმედების საგნად ვიწრო ფარგალი აქვს ადებული, ე. ი. ქალაქური მელოდიები. მაგრამ რადგანაც ქალაქური სიმღერები უცხო მელოდიების დიდ გავლენის ქვეშ არიან, ამიტომ ა. ყარაშვილის რომანსებშიაც გამოსჩგრეტს ეს



რაფ. ჯიბლაძე
(რ. ჯიბილ)

სახალხო სცენის მოყვარე და გურული სცენების დამწერ-წამკითხველი, ათ წელზე მეტია ქართ. სახ. სცენას ბეჯითად ემსახურება (განსაკუთრებით მერულ მსახურთა როლებს ასრულებს მოზდენით.) დაწერილი აქვს მრავალი სცენა (არმოცამდე დაბეჭდ ლია კვირეულ ჟურნალში). ამ ჟამად ავადა.

უცხო გავლენა. მაგრამ ამ გავლენას ჩვენ სრულებით არ ვუკვირებთ ავტორს; ზირიქით, სწორედ კარგი გავლენა სასურველიც არის. ჩვენ მხოლოდ იმას მივაქცევთ კომპოზიტორის უურადლებას, რომ იგი თავის რომანსებში საშინლად გაურბის თემის განვითარებას, რის გამოც სობით მისი რომანსები თავისი დირსებით მდარდებიან. ნახსია ავტორის თემის განვითარებისა ჩვენ დაინახეთ იმის „ლოთებო“-ში, მაგრამ იქაც მთლიანი მსატერობა და იდეა ვერა აქვს დაცული. ეს კი მხოლოდ იმას უნდა მივაწეროთ, რომ კომპოზიტორი ძალიან ცოტასა სწვრს და დაბძმული კომპოზიტორის მანერა არ გაუკვეთია. —

ავტორს აქვს დაწერილი კიდევ ორი ხორა „მატარა მურია“ და „მირავალ-ჟამიერ“ (ორივე სახუქნად დაურთვიათ ჟურნალ „განათლებლის“ 1914 და 1915 წლ. ხელის მომწერთ). ამ ორ ხორაშიაც კომპოზიტორს მუხა არ დალატობს და მელოდია კარგად აქვს დამუშავებული. მხოლოდ სხვა სმები ცოტათი მოიღარიბებენ; ნემეტნავად ბანი ორთავე სიმღერაში მოისუსტებს: „მურიაში“ ძალიან სდა და დარიბია, „მირავალ-ჟამიერში“ კიდევ ძალიან სტის და ტკამს. ახლანდელი თეორია ბანს უფრო სხვა ზომართულებას აძლევს, ვიდრე შობლიანიური სტომა კვარტებზე და კვინტებზე.

ჩვენ ვერ ავებისნია კომპოზიტორს „მატარა მურიაში“ რათა აქვს გამოშვებული 1, 4 და 7 ტაქტში შეორე სმა (ტერცია), ურთმლისოდაც აკორდი ჭკარგავს თავის სისრულეს, ნემეტნავად თუ ხოროს მარტო მამაკაცთა გუნდი ასრულებს. თვით კომპოზიტორს კარგად მოეხსენება, რომ აკორდში შესაძლებელია გამოშვავთ მეხუთე ნოტი (კვინტა), ან მერვე

(აქტავა), მაგრამ ძირისა და მეორე ნოტის გამოსვება ძალიან ძნელია, თუ ძალიან დიდი გაჭირვება არ დადგა კომპოზიტორს; მოყვანილს მავალითში კი ამისთანა გასაჭირს ვერა ვხედავთ, პირიქით უტერციოთ აკორდი მდარე არა ტკბილსმოყვანი არის.

თუ პატივცემული კომპოზიტორიც დაგვიტანსმება, ვიტყვი რომ „მრავალ-ჟამიერში“ რითში ვერ არის წესიერად დაცული. სიმღერაში არის ნახმარი სომა $\frac{2}{4}$, ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ უსათუოდ უნდა იყოს სომა $\frac{4}{4}$, რადგანაც ამას მოითხოვს სიტყვების და სიმღერის რითში და მავარი ადგილების დაცვა. ავტორის სომას რომ მივყევთ სიმღერის პირველს ოთხ ტაქტში ოთხი მავარი ადგილი უნდა გამოვჩინოთ, რაც სიტყვების ახრისაგ ეწინააღმდეგება და უაღაგო ხმის ამადლებითაც სიმღერა ჭრელდება და ჭკარგავს თავის ლოდიკურს სიმთელეს. ხორა რომ დაწერილიყო $\frac{4}{4}$ სომით, მაშინ რითმაცა და ხმის ამადლებაც თავის ალაგას მოვიდოდა და არც ლოტბარი შევს შეტდომასში სიმღერის სწავლაში.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კომპოზიტორი, რომელიც მუსიკაში ერუდიციის მატარებელია და რომლის ნაწერებშიაც ასეთი სითბო გამოსტყვერებს, ძალიან ცოტას მუშაობს და აქამდის ჩვენს დარბო მე-სიკალურ ლიტერატურას არაფითარი საგულისხმო განძი არ შესძინა. თუ სურს, სამშობლომ მას ხელთუქმნელი ძეგლი დაადგას, მან ამის ბაღდად დიდი მუსიკალური გვირგვინი უნდა უდგინას თავის სამშობლოს.

ან იქნება თვით ჩვენი საზოგადოება იყოს დამნაშავე მასში, რომ კერძოდ ბერაშვილი და საზოგადოდ სხვა ჩვენი მუსიკოსები ნაკლებად მუშაობენ, ვინაიდან თვით საზოგადოება ვერ აფასებს მათ. რამდენადაც ჩვენ ვიცით, აქ, სვდაც ბ. ერაშვილი მუშაობს, ექიმს ერთი ორად მეტი საფასური ეძლევა, ვიდრე მუსიკოსს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელის შრომა უფრო მძიმეა, ვიდრე პირველისა.

გ. საყვარელიძე

პარტიკულური და ერთი სოლიდარობა

(დასარული. იხ. „თ. და ც.“ № 30)

II

ჩვენი ხალხი ყოველთვის მეტად კანთმოყვარე, კარგი მეზობელი და პურხდ მსახიბელი იყო და ის, ყველა ამ სიკეთესთან ერთა სოლიდარობის დიდი მებაირასტრეც“ რომ იყო, ეს ბევრით მტკიცდება. სვდ არ იბრძოდენ ჩვენი წინაპარნი, ვისთვის არ სჭრიდა მათი ხმალი?.. თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, ადვილად ამოვიკითხავთ შავ ქართველთა სიქველეს: ინდოეთში, სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში და ჩვენს მეზობელ ერთა შორის... წაიკითხეთ ისტორია: ვახტანგ გორგასლანის, დავით აღმაშენებლის, ბაგრატის ირავლი მეფის, და სხვა... აი უმადლესი მებაირასტრენი ერთა სოლიდარობისა. მაგრამ რა გამოვიდა?.. არაფერი! რატომ! — იმიტომ, რომ „ხსვისი მაცხოვრებელიო — დარჩა უცხოვრებელიო“. აქაც ზე გამჭრილია მგონის სიტყვები:

„შუბლს იტეხავ, გაახშირე გულში ცემა, თმის გლეჯანი.“

„გამოგონილ დულციენის მოგწონს პრანქვა და ღრეკანი, „დაბურდავდა, დაიქსაქსა საარაკო ღონე, ჯანი... „იქ-კი... იქა.. კვლავ იტანჯვის ტურტა ნესტან-დარეჯანი“.

III

სულ უახლოესი დრო?.. რომ კარვად გაითვალისწინოთ ჩვენი მასობელი წარსული, რას დაინახავთ?.. კიდევ იმავე მსხვერპლს იმავე ერთა სოლიდარობის განმტკიცებისათვის. აბასხვას რას უნდა მოვაწეროთ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ბობქარი ცხოვრების ხანა?.. რამდენი მამულიშვილი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი დღესაც სატურსადგომში სხედს, რამდენი გადასახლებულია შორეულ ქვეყნებში, რამდენი მოკვდა კიდევ იმავე იდეისათვის, ვინ მოსოვლის?.. ამავე სოლიდარობის გულისათვის არ იყო,

რომ სომეხ-თათართა შეტაკების დროს შუამავლობა მხოლოდ ქართველებმა იკისრეს!.. განა ცოტა მსხვერპლი შევსწირეთ ამ შემთხვევაშია? . შერე რა გამოვიდა?.. გაიხსენეთ ჰალიტენიკუმის ისტორია და თქვენ სავსებით დარწმუნდებით ჩვენი გარჯის ნაყოფაერებაში. ჩვენს ჯინზე, რაო და ქართველების არ გავიდესო, ჰალიტენიკუმი ისეთ ადგილას გადაათრიეს, სადა თვითონაც კარგად იცნან, რომ სრულიად არ არის მისი შესაფერი ადგილი. აქაც შეტად შესაფერია იმავე მკონისის სიტუებო:

„ეაჰ, ამ დროში (რადის არა!?) იგებს ისა, ცულლუტობას ვინც მეტს იჩენს, ჟინც ფულითა თუ სხვა ხრიკით მძღაფრს მიგობარს მეტს გაიჩენს“

IV

ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ტერიტორიას, ძვირფას მამა-მამათა სსსსფლავებინა-გი კი ძირიან ფესვიანად ამოგდებს, უზირბენ აქეთ-იქიდან მოცვიფრულ-მოწვეულები სოლიდარულ სტუმარ-მოყვარეობით შემოჭრილ-შემოხინზნულნი უცხო ელემენტნი და ჩვენ-კი, მანინ გულს არ ვიტხთ და გავიძნით კიდეც იმავე სიტუებებს „ერთა სოლიდარობა“. შერძე ესმის ვისმეს?.. დიად, ესით და კიდევაც იუენებენ დროს შესაფერისად... ჩვენ-კი გვილოლიავებენ კიდეც იმავე მკონისის ჰირით:

„შენ-კი (იგულისხმე ქართველები) დიდო დონკიხოტორაინდობ და შმაგად ჰგმირობ? „წისქვილს ებრძვი თუ ჯალოქარს, არცა არჩევ, არცა ჰკვირობ! „როცა გცემენ — ხმას არ იღებ, სხვათათვისა ტკბილად სტვირობ, „აზრის დახლზე თუ იაფობ, ბრძოლის ველზე მეტად ჰსძვირობ!..“

V

დიად, სანამ ერთა სოლიდარობაზე დავიწეებდეთ ზრუნვას, სჯობს თავის თავზე ვიზრუნოთ, რაგორც ამას ჩვენი მეზობლები სწადიან ჯერ ჩვენს ერში დავამყაროთ სოლიდარობა და შემდეგ „კავკასიის ერთა შორის სოლიდარობა-ზე“ ზრუნვას შეუდგეთ, თორემ სავსებით ჭხდება ჩვენზე ქართულა ანდაზა: „კუდა ხარი თავისთვის არ იყო — სვას ბუხებს უკერებდა.“

იასე რაჭველი

დედის გველეხი

(დასასრული. იხ. „თ. და ც“-ბის შემდეგი №№ 1914 წლის—26, 28, 39, 40, 42; 1915 წლის—2, 15, 28 და 29)

ძალის წყნეილში სოფრომ ს ბახუ მოეჩვენა. სინამდვილი: გასაგებად „ბახუო“ დაიძახა და ლობზე გადახტა. ძალმა იცნო სოფრომას ხმა, წკმუტუნით შეხვდა მას და



...ძალმა იცნო სოფრომას ხმა, წკმუტუნით შეხვდა მას..

ერთი მწარე ყუფა ასტეხა. სოფრომას თავში სისხლი აუვარდა, გული აუჩქროლდა, თვალეზი გადმოკარკლა, წუმწუმა გაჰკრა, მიცვალებულს დანათა თუ არა „დედაო!“ დაიღრიოლა და დედის ნელ-თბილ გვამს დაეცა... მკვდარი მია იყო, სოფრომას მთხვო რა დედა. საცოდავს ფეხებზე არაფერი ეცვა და ტალახით კოქებამდი იყო შეთითხნილი. თავზე თავის მრავალ-საკერებლიანი შავი კაბის უკანა ნაწილი ქონდა წამოფარებული, ალობად წვიმისაგან რომ დაეფარა სახე; მხარზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, ნამათხოვარ მქადის ნატეხებით სავსე... მია სამათხოვროდ ყოფილიყო, შინ დაბრუნების ს შუა გზაზე შემოლომებოდა, რომლის მიზეზითაც გახდა შვილის მსხვერპლი.

სოფრომა ისე მხურვალედ ჩაჰკროდა დედის ჯერ კიდევ თბილ გვამს, გეგონებოდათ, არ უნდა მოშორდესო, ისე ტიროდა, თავპირს იკაწრიდა, გულს იხოკდა... სოფრომას ტიროლთან ძალღიცი ტიროდა: ეს გონიერი ცხოველი იზიარებდა სოფრომას მწუხარებას... ბახუ ღმუოდა, ფხოქნიდა მიწას ..

სოფრომა ოდნავ რომ მოვიდა ცნობა-ზე, რეგოლვერი მიიღირა გულზე თავის მოსაკლავად, მაგრამ სირცხვილის გრძობამ შეაჩერა—აქ რომ თავი მოვიკლა, ყველა იფიქრებს: ჯერ დედა მოუკლავს მერე თავიო... ამიტომ თავის მოკლა გადაფიქრა, აკოცა დედის გაციებულ მკერდს, ეამბორა გაძვალტყავებულ ძუძუებზე, სთხოვა პატიება, წამოდგა და თითქო სისხლი არ უშვესო, ატაცებული დაადგა თავს. ამ დროს ზედიზედ გაიელვა, გაანათა მაიას სახე და მკვლელს აჩვენა, თითქო ზეცა უსაყვედურებდა: „რა ჰქენი შე უბედურო, ვინ მოჰკალიო“... სოფრომა დაიძრა... „ბახუო“, წამოიძახა თავის უნებლიეთ სოფრომამ, თითქო უნდა მიცვალებული ჩააბაროსო, მაგრამ ენა ველარ დასძრა.. გავიდა რამდენიმე წუთი და კვლავ წამოიძახა „ხალხო“... მაგრამ ვერც ეს სიტყვა და: მთავრა და ენა ჩაუვარდა. ვინ რას გაუგონებ და .. სოფელს ეძინა მკვდრული ძილით, სოფელი სდუმდა, სოფელს ის გაურბოდა.. სულ ჟიკანა'კნელ სასოწარკვე-ილებით დააკრატუნა კბილები და თითქო, თვალებიდან ცეცხლი გადმოაფრქვია... „მეც გამოგყვები დედაო“, და გაჰქრა ღამის სიბნელეში...

ქუხდა, ელავდა, კოკისპირულად წვიმდა. რუ-არხები მიჩქრილებდნენ და შრიალეზდნენ.. ცა თავპირს იბღვნიდა, დედამიწა იკაწრებოდა... შიგა და შიგ ქუხდა, ელავდა... თითქო ბუნებაც სოფრომას სდევნისო, სოფრომა



თითქო ბუნებაც სოფრომას სდევნისო, სოფრომა გარბოდა ელვისგან დაკრულვილი.

გარბოდა ელვა დაკრულვილი... „დედა, დედა, ნუ მეჩვენები, ნუ მაშინებ შემციოდნო. ეს ყაჩაღი სოფრომა იყო — დედის მკვლელი. იმას

ყოველ ნაბიჯზე დედა ეჩვენებოდა: დახეულ-დაწეწილი, წვიმაში ამოწეწული, თავის სისხლში ამოსვრილი, გულ-გაგმირული და თითქო ეძახოდა: „რად მოხვედი ჩემდა მოსაკლავადო“. შეილმაც ველარ გაუძლო ამ მოჩვენებას და იმ ტყვიის ამხანაგი, რომელმაც დედის გული გაგმირა, თვითონ დაირტყა გულს...

მეორე დღეს სოფელ მ—რში ორი მკვდარი ნახეს, ორივე ტყვიით გაგმირული: სოფრომა და მაია.

სოფელი დუდუნებდა, მაგრამ მკვლელობის სწორე მიზეზი ვერავის შეეტყო.

ევ. ფურცხვანიძე



რეიზა დეიხრჩო თავი?

(სცენისებური)

ამ ერთი კვირის წინეთ ჩვედი სოფელში. შემხვთა ჩემი მეზობელი და ვკითხე:— რავა ხარ ივანიკა თქვა?

— მშია, თუარა კარგათაო. მიორეს ვკითხე:— მშია თუარა კარგათაო. მესამეს — მშია თუარა კარგათაო.

გადევიარე მიორე სოფელში. მისთანა მოთქმა მომესმა, მისთანა რომე, კაკალი გულის დასათუთქი.

— რა ამბავია იქინე-თქვა? ვკითხე ერთ ყმაწველ-კაცს.

— რა ამბავია, ბატონო, და უფროსმა კაცმა თავი დეიხრჩოვო!

— რეიზა, თუ ძმა ხარ თქვა.

— რეიზა, ბატონო და უფროსი ვაჟი-შვილი სალდ თში წეიყვანეს და მისი არც კი ისმის— არც ავი .. ორი ბაღანაი შიმშილით ქე მოუკვტა... ორი კვალი მიწა ქონდა დათესილი, უბედური აწინდების გამოისობით იმაზე ხელ-დაბანილი დარჩა .. მოგლიჯინდა უშველებელი წყალი და სახლი ნალია-სალორე-კარია-ბატი-ქათამი-ინდაური-კვატა-ხარი და ძროხა ქე წაფხიკა. რაი უნდა ექნა საწყალ გლეხსა?! ეიხედა ცაი, დეიხედა დედამიწა... მშველელი ვერვინ ნახა და ქე გადახტა ქაში!

— აბა, კაცო, გაზეთებში რომ ვკითხულობთ: ამ-და ამ ზომას მიემართეთ დღიური უბედურების წინააღმდეგ... ესა და ეს საშუალება გამოენახეთო... ამდენი და ამდენი გამოგვგზავნესო. ესა და ეს შეგვპირდენო, — ამას ყოლიფერს ტყვეულის ჩივიან?!

— ეჰ, ჩემო ბატონო, — თქვენთვის მომიციაო: თფილისი-ბაქო-ქუთაისი-ბათუმი — ფოთი და სოხუმი, —

სიტყვით — და საქმით რა მოგახსენო!..

ალი — ძამია

ქართული სახიობა

აბაჩელთა სასარგებლოდ სოფ. კვა-რცხუთის (რ.კა) ორ-კლასიან სკოლის წინაშე 19 ივლისს ყოველგვარ საქველმოქმედო საქმისთვის თავდადებულ კნ. საშა ერისთავის თაოსნობით წარმოადგინეს: „დედა და შვილი“, ილიასი, „ჭკუისა მჭირს“, ვ. ავქს. ცაგარლისა და „დატრიალდა ჯარა“, კოტე ყიფიან სა. თუმც, მონაწილეთა უმეტესობა პირველად გამოვიდა სცენაზე, წარმოდგენა მწყობრად ჩაატარეს. მკვირცხი და გაბედული თამაშით ბ. შ. ჭიჭინაძემ ნათლად დაგვიხატა ახალგაზდა ქართველის სულისკვეთება, რომელიც მხად არის თავი შესწიროს სამშობლო ბედნიერებას. მას ხელს უწყობდა მოხდენილი თამაშით ქ. გოცირიძის ასული (დედა). ბევრს ცრემლები მოჰგვარა სცენამ, როდესაც მომავლადი დედა ომში ისტუმრებს თვის ძვირფას პირმშოს. ომში მიმავალი ჯარის მწყობრი სიმღერა კი სწორედ აბოთეოსი იყო პიესისა. მკრთალად ჩაიარა პიესამ „ჭკუისა მჭირს“. სამაგიეროდ ცოცხლად ჩაატარე „დატრიალდა ჯარა“. ამ პიესის სულის ჩამდგმელი ბ. ერი-თავი იყო (სოსია). თვისი მოხდენილი თამაშით მან ბევრი აცინა დამსწრე სასოგადოება. თავადის ასულმა მარიამ ერისთავმა მოგვცა სრული სურათი ქვეიანი ცოლისა. კარგი იყო ბ. მინდელი ქმრის როლში. დანარჩენი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდენ. აღსანიშნავია აგრედვე სიჩუმე, რომელიც დაცული იყო წარმოდგენის დროს მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. წმინდა შემსავალი გადაეცემა „აქარეთა დამხმარე კომიტეტს“. დამსწრე საზოგადოება დიდი მადლობელი დაურჩა კნ. ერისთავისას ავტოი შინაარსიანი საღამოს გამართვისთვის.

ს. მაღალნი

ბაღდადში კვირას, 5 ივლისს გაიმართა აკაკის საღამო. ბ. ბუჩიძემ წაიკითხა ლექცია „აკაკი, როგორც ეროვნული მწერალი“. ლამაზად შორთულ სცენას ამშვენებდა აკაკის სურათი. ლექცია შინაარსიანი გამოდ-

გა. მეორე განყოფილებაში ითამაშეს I მოქმედება „პატარა კახი“-დან, ლამაზად და მოხდენილად შესარულა პატარა კახი შ. ჯაფარიძემ. კარგი გიგი იყო ვარ. ჩხიკვაძე. განსაკუთრებით მოსაწონია ამ მსახიობის დიქცია, მკაფიოდ და დალაგებით სიტყვების გამოთქმა. მესამე განყოფილებაში იაკინთე აბულაძის ექვსი წლის პატარა ნორამ წაიკითხა რამდენიმე ქართული ლექსი. საზოგადოება აღტაცებით შეხვდა პატარა ბავშვის მიერ ლექსების მშვენიერად წაკითხვას. ქ-მა ჭრიალა შვილმა იმღერა ქა-თული რომანსები. დასასრულ ითამაშეს ვოდველი „უბედური დღე“, რომელიც მხიარულად ჩაატარეს და საზოგადოებაც ბევრი აცინეს. — ი

მვირილაში ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ზაფხულის სეზონი თითქმის ბოლომდე მიიყვანა ჯერ-ჯერობით გაიმართა 14 წარმოდგენა. ყველა წარმოდგენაზე შემოსავალი კარგი იყო. სეზონი გასტანს მარიამობისთვის 15-ამდე, 22 ევლისიდან დაიწყო ბენეფისები. პირველი ბენეფისი ამხანაგობამ უძღვნა ქ-ნ მარო მდივანის ასულს, როგორც ერთად ერთ სხიობ ქალს ქართულ სცენაზე, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს წარმოდგენილი იქმნა „ქრისტინე“, ეს ამხანაგობა შორაპანის მხარაში თითქმის ყველა სოფელში მართავს წარმოდგენებს, კვირაში ოთხს მინც. დასში ირიცხებიან: ქ. მარო მდივანი, ელ. ლოდობერიძე. ბ. ბ. ვ. არაბიძე, ი. ბარველი, ა. სანდალიძე, ა. ყალბაგვიშვილი, ვ. ურუშ-ძე სუფლიორი გ. გურული და რამდენიმე სცენის მოყვარე.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა მოგზა-ურობას ფიქრობს პროვინციაში. რამდენიმე წარმოდგენას გამართავს სურამში, ბორჯომში, წალკარში და ბაკურ ანში, შ. მდგე აბასთუმანსა და ახალციხეში. აქედან დასი შემოვიღოს რაჭა-ლეჩხუმს. ეს პირველი შემთხვევა იქნება აქეთ მხარეს დასის მოგზაურობისა. — ლ

დ. ახალ-სენაქში შაბათს, 18 ივლისს, სცენის მოყვარებმა მსახიობ ვლ სარელის რეჟისორობით წარმოადგინეს „დასჯილი“ დრ. 2 მოქ, აწყურელისა და „მოფურჩხულია“ ვოდ. I მოქ. დ. მესხისა. სცენის მოყვარენი, რამოდენიმეს გარდა, მომზადებულნი ვერ იყვნენ. განსაკუთრებით ქალები სუსტადდნენ როლებს უცოდინარობით. ქ-ნ ზურცილავას ასულმა (ნი-ნო) ვერ განასახიერა ფუქსავატ, თვისუფალ ნინოს პიროვნება. ბ-ნი თებზაის :სულა (ელენე) ოალი არ იცოდა. ბ-ნი სარელი (გერასიმე) თავის ალაგს ვერ იყო, ბ-ნი ბუბუტია დონ-ქუანს (მოარშიყე „ვასოს“ როლში) სცენაზე თავისუფლად ვერ ეტია თავი. ბ-ნი ლეპიჩავა (ანაშვილი) პიესის მთავარ როლის (ნიკოს) დაკვირვებულ აღსრულებით, შესაფერი მიმიკით, ტემპერამენტით სწორედ ყურადღებას იქცევდა. ვოდველიში განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნი ჭეიშვილი (სიკოია), რომელმაც საზოგადოება ბევრი

აქინა, დასარულ გაიმართა დიფერტისმენტი: რამდენიმე ლექსი წაიკითხეს სცენის მოყვარებმა. მასწავლებელმა კალანდარიშვილმა იასამანის ლექსები დაკვირვებით წარმოთქვა. ანაშვილმა წაიკითხა რამოდენიმე საკუთარი ლექსი. განსაკუთრებით მოიწონეს მისი „შეშლილი ქალი“.

გვიან დაწყებული წარმოდგენა გვიან დასრულდა, ხალხი ნაკლებად დაესწრო.

მასწავლებელი

ს. ცხემლისხილზე (გურია) 2 ივლისს გაიმართა აკაკის საღამო მგოსნის დაბადების დღის აღსანიშნავად. ბ. მ. საბაშვილმა ეგვიპტე-ბით შემკულ აკაკის დად სურათთან ეგვიპტის გასაცემი ენით წაიკითხა რეფერატი „აკაკი — ჩვერულთ მოსარჩლე“. წარმოდგინეს „და-ძმა“ ვ. კუნიასი. წარმოდგინა სურათად კარგად ჩაიარა, თუ მხედველობაში მივიდებოდა სტენის მათემატიკის, ისიც სოფლად. მოთამაშეთა შორის თავისი ბენებრივი თამაშით აღსანიშნავა ე. თხემეზურისა (მარინე), კ. ჭიჭინაძე (გადა), მ. საბაშვილი (აღამია) და ლ. გომრგაძე (გაიოხი). ხელგანუხრად შესრულეს სურათი სახერხობლეში. აქ თავისი მოხდენილი თამაშით გ. დათუნაშვილმა ბეგობი ატინა საზოგადოება. დანარჩენი მოთამაშენი ახსამბლს ხელს უწყობდნენ. ანტრაქტებში უკრავდა სკრიპისა და გიტარის ორკესტრი. ხალხი აუარებელი დაესწრო და დიდათ ნასიამოვნები დაიშალა დამის ორ სახატე. ვუსურვებ ცხემლის-ხიდის მოწინავე პირთ კიდევ მეტი ენერჯით გაძღვოდნენ ისეთ საქმეს, როგორც არის სოფლად წარმოდგენა-საღამოებს მართავ, რასაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დაბეზრებული ხალხის გონებრივ და სხეობრივ განვითარებისათვის. საშუააროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენშია აღმობინდნენ ისეთი პირები, რომლებიც ისეთი კეთილი საქმის ჩაშლას სტდილობდნენ, მაგრამ არ გასჭრდა მათმა სერხმა და ხალხის თვალში წიხლი დაიმსახურეს.

დამსწრე

წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი

➔ **მსახიობი ალ. იმედაშვილი** ხვალ თელავს მიემგზავრება საგასტროლოდ. მისი მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „მარგარიტა გოტიე“ და „ოტელო“.

➔ **მგოსანი ვაჟა-ფშაველას** გარდაიცვალა წმ. ნინოს ლაზარეთში 27 ივლისს საღამოს შვიდ საათზე.

➔ **პირველი პანაშვილი** მგოსან ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლად ქაშვეთის ეკლესიაში გადინადეს 28 ივლისს, საღამოს 7 ს. პიტრიმ ექსარხოსის, ანტონ ეპისკოპოსისა და სამღვდლოების თანამსახურობით. პანაშვილის დაწყებამდე ექსარხოსმა ფრიად გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა. დაესწრო დიდძალი საზოგადოება — კულტურულ დაწესებულებათა, წოდებათა და პრესის წარმომადგენელი და ხალხი. ცხედარი ესვენა ყინულოვან კუბოში. ზედ დასვენებული ჰქონდა ცოცხალ ყვავილთა თაიგული. პანაშვიდი ყოველ დღე იმართება.

➔ **ვაჟა-ფშაველას დასაქრებლად** 28 ივლ. საღამოს 8 ს. ქართულ თეატრის ფოიეში შესდგა პრესის, კულტურულ დაწესებულებათა და წოდებათა წარმომადგენლების კრება. ერთხმად გადასწყვიტა: 1) მგოსანი დაიკრძალოს დიდუბის პანთეონში და 2) ხარჯები იკისრონ ყველა კულტურულ დაწესებულებათა და ბანკებმა. დამკრძალვე ბიუროში აირჩიეს: ვ. ქუნია, ნ. ერისთავი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ნაკაშიძე და პ. საყვარელიძე. გარდა ამისა ამავე ბიუროსთან იმუშავეს კომიტეტი, რომლის წევრებიც იქნებიან თითო კაცი კულტურულ დაწესებულებათა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებიდან.

➔ **ვაჟას გარდაცვალების გამო** მრავალი დეპუტა მო დის რედაქციებს.

➔ „**მშური სიტყვა**“-ს გაყიდვით თბილისში შეგროვდა 1,811 მან.

➔ **მოქანდაკე ი. ნიკოლაძემ** გადილო ვაჟა-ფშაველას სახე.

➔ **ვაჟა-ფშაველას ოჯახობის** ჩამოსაყვანად, მთაში გაიგზავნა საგანგებო კაცი.

➔ **სახალხო სახლში** ქართ. სახ. წარმოდგენების მმართველ წრის კრება შესდგა 27 ივლისს, კ. ხახანაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა გასული წლის ანგარიში და მოწინავე ხარჯთ აღრიცხვა. გაუმართავს 39 წარმოდგენა, შემოსავალი 8,288 მ. 83 კ., გასავალი 8180 მ. 80 კ. 1 ივნისისათვის ნაღდი — 108 მ. 65 კ., ასაღები 700 მანა. თამდე. ი. გოგელიას მადლობა გამოუცხადეს გამგეობაში უსასყიდლოდ საქმის წარმოებისათვის. მიიღეს 42 ახალი წევრი, გამგეობის წევრებად აირჩიეს: ი. ბესელიძე, ი., გოგელია ევ., კოპალეიშვილი გ., მაჭავარიანი ს., ნატროშვილი ვ., საღირაშვილი და გ. ცინცაძე; სცენის მოყვარეთაგან — დ. ბაქრაძე, ელ. რომანიშვილი. კანდიდატებად: გ. ბეგიაშვილი მანჯგალაძე და ი. ფარნიევი. სარევიზიო კომისიის წევრებად ტოხოშვილიძე ს., ი. კანტურია და ვ. ხახანაშვილი. დამტკიცეს 1915 — 16 წ, ხარჯთ აღრიცხვა — 6656 მ. 99 კ., დაადგინეს ყურადღება მიექცეს კერძო პირთა წარმოდგენებს.

ახალი გამოცემა
ვეფლხსათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად აღდიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000); უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალიგოკორის ყდაში, მოოქოვილ-მოგარაყებულ ასო არშიემით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შელავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ეამს).

ხელის მოწერა მიიღება: ქუჩ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“
Иос. Имедашвили.



საქონლის
მისაღებ

მიიღება 1915 წ. ნახევარი
წლის ხელმოწერა
ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

იუმორისტულ განყოფილებით და შარხებით
ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულებების გარეშეა.

ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.
შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ.
ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) ღირით 9—2 ს.
მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: ორიგენით,
ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили
რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

თეუზის ქრეწველნი

კმ.

კმგველოვები

კუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9
ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

აელაბარში

ზოსტის განყოფილების ძველ
საკუთარ სახლში

იყილება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც კუშკინის ქუჩაზე

ნომრები „სეროკრა“

ახლად შეკეთებულად, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სმარაგელო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (ღუში და ვანა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (7)

ქუთაისში

საქართველოს სსრ
თავიჯისში

ახლახან გაიხსნა

ა ფ თ ი ა ქ ი

პრადევი ზორის ა.ს. ახვლედიანისა

(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

1 მაისიდან ქალაქ თბილისში გაიხსნა უფრანო-გაგაზეთების კანტორა

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ეშმაკის მათრახი“, „თემი“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკასკოვ სლოგო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „ეშმაკი“ და „ხათაბალა“.

აგენტები ვალდებულია ზთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინადაწინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлис, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოღენისკი, 6.

ქ. თბილისში გამოდის უფრანო-გაგაზეთების კანტორის გამოცემა

ეშმაკის მათრახი

და თაგუნა, ხოლო გამოცემის საკეს ა ბ. ბუკია.

თანამშრომლები: ალბერტი, ბლიკინი, კეჭი, კშაქი, თაგუნა, კენ-ტი, კენაქანი, კოდო, მორიკო, საფურცლო-მანქანა, ინისიმი, ზიტა, ჟონ-ტელო, შ. ქიქოძე, შუკრდბეგი, კოურელი, სუმრა და სხვ.

ქუთაისის ფასი—1 წლით 2 მ., 6 თვით 3 მან. 8 თვით 1 მ. 50 კაპ. ახალ მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ უფრანო-გაგაზეთების წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, ათაკები, მარადები, გამოკრები, ნაკვეთი და სხ.

წუთ. დიბეჭდება საერთაშორისო ოპის ილუსტრაციები. რედაქცია საზღვარს გარეშე გამოგზავნა ამ დღეისათ: Тифлис С.П. Таварткиладзе. Олг нскял 6, почт. ящ. № 96 (ეშმაკის მათრახისთვის)